staff of the Parliament of Georgia
Digitally signed by staff of the Parliament of Georgia
Date: 2020.01.24 10:23:09 +04'00'

ხელშეკრულება № 20-24/01/1

მანქანების შეკეთების და ტექნიკური მომსახურების (CPV 50112000) (სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ-საპოხი მასალების გათვალისწინებით) გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის (პრეისკურანტით) შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა ქ. თბილისში, 2020 წლის 24 იანვარს
და ძალაშია 2020 წლის 24 იანვრიდან - 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

ერთის მხრივ, **„საქართველოს პარლამენტის აპარატი“** (მის.: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 8, სახელმწიფო ხაზინა, ანგ. №200122900, საიდენტიფიკაციო კოდი 202058245) (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფროსის **გივი მიქანაძის** სახით, ხოლო მეორეს მხრივ, **შპს „აკა“** (მის: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№6, სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22, ანგარიშის ნომერი: GE73BG0000000878774100, საიდენტიფიკაციო კოდი: 204875082) (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ტყებუჩავას** სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „ავტოსატრანსპორტო საშუალებების წლოვანების ან/და გარანტიის პირობების დადგენის შესახებ, რომელთა ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებებით“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების პირველი მუხლის ა) და ბ) პუნქტების საფუძველზე, **2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს პარლამენტისათვის გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში**, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომ – ხელშეკრულება)“ – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, ყველა თანდართული დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზედაც გაფორმებულია ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.5. „დღე, კვირა, თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.6. „შესყიდვის ობიექტი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია, საქართველოს პარლამენტის აპარატის მიერ, შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე არსებული მერსედესის მარკის წარმოების 1 (ერთი) ერთეული მანქანის (ავტომანქანა მერსედეს „V220D“, სახელმწიფო ნომრით CC-737-CO, VIN:WDF44781313416979, გამოშვების წელი-2018) შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ-საპოხი საშუალებების გათვალისწინებით) სახელმწიფო შესყიდვა, რაც გულისხმობს, ავტოსატრანსპორტო საშუალებების დიაგნოსტიკურ და პროფილაქტიკურ მომსახურებას, ავტოსატრანსპორტო საშუალების ოპერატიულ შეკეთებას, სათადარიგო ნაწილების შეკეთებას ან/და შეცვლას, საცხებ-საპოხი მასალების შეცვლას (შემდგომში - „შესყიდვის ობიექტი“).
2.2. გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერილობა მოცემულია დანართში №1 – „პრეისკურანტი“, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
2.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურება შეისყიდოს საჭიროების შესაბამისი მოცულობით.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს არაუმეტეს **2,000.00 (ორი ათას) ლარს.**
3.2. ხელშეკრულებით გათვალიწინებული მომსახურების ერთეულის ფასი მოცემულია დანართში №1 – „პრეისკურანტი“. **პრეისკურანტის ჯამური ღირებულება შეადგენს - 14,629.00 ლარს.** პრეისკურანტში დაფიქსირებული ერთეულის ფასი შესაძლებელია შეიცვალოს ყოველი კონკრეტული მომსახურების გაწევის დროს, ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს პრეისკურანტში დაფიქსირებული ამავე მომსახურების ერთეულის ფასისა. აღნიშნული ცვლილება ფიქსირდება დეფექტურ აქტში და შესაბამისად აღნიშნული არ საჭიროებს მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების გაფორმებას.
3.3. ხელშეკრულების საბოლოო ჯამური ღირებულება განისაზღვრება ფაქტიურად გაწეული მომსახურების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო

სავარაუდო ღირებულებისა და შესაბამისად ხელშეკრულების ჯამური საბოლოო ღირებულების განსაზღვრა აღარ საჭიროებს მხარეთა შორის დამატებითი წერილობითი შეთანხმების გაფორმებას.
3.4. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი როგორც მომსახურების (სათადარიგო ნაწილებისა და საცხებ-საპოხი მასალების გათვალისწინებით) ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს, ასევე საფასურისა და მოსაკრებლის ღირებულებას ასეთი ვალდებულების არსებობის შემთხვევაში.

4. მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები:
4.1.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, **2020 წლის 24 იანვრიდან 2020 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით, პრეისკურანტისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.**
4.1.2 მიმწოდებელმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შემსყიდველის მიმართვის შემდეგ ოპერატიულად, რიგგარეშედ უნდა ჩაატაროს ავტომანქანის დათვალიერება, სერვის ცენტრში შესვლიდან არაუგვიანეს 2 (ორი) საათის განმავლობაში, რის შემდეგაც მხარეები ადგენენ დეფექტურ აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერა, გამოსაყენებელი სათადარიგო ნაწილების, საცხებ-საპოხი მასალების რაოდენობა, ერთეულის და საერთო ღირებულება, მომსახურების გაწევის/საქონლის მოწოდების ვადები და სხვა მონაცემები. აღნიშნული დეფექტური აქტის ელექტრონული ვერსია მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს შემდგომი შეთანხმებისთვის.
4.1.3 მიმწოდებლის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს დეფექტური აქტის შემსყიდველთან შეთანხმებიდან, რიგგარეშედ, შემდეგ ვადებში: სავალი ნაწილის, მართვის მექანიზმის და ელექტროობის შეკეთება - არაუმეტეს 1 (ერთი) კალენდარული დღისა, ძრავის და გადაცემათა კოლოფის შეკეთება არაუმეტეს 3 (სამი) კალენდარული დღისა, ძრავის და გადაცემათა კოლოფის შეკეთებისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილების არ ქონის შემთხვევაში მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა.
4.2. მომსახურების გაწევის ადგილი:
4.2.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ.№6, მიმწოდებლის ექსპლუატაციაში არსებული სერვის ცენტრი.

მუხლი 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**
5.1.1. ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ხარისხიანი და გარანტირებული მომსახურების გაწევა, ხელშეკრულების პირობებისა და აღნიშნულ სფეროში დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;
5.1.2. უზრუნველყოს შემსყიდველისთვის მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევა. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევის პროცესში უნდა გამოიყენოს მხოლოდ მაღალი ხარისხის დასაზეთი ზეთები, ხოლო ნაწილ(ებ)ის შეცვლის შემთხვევაში არსებული ნაწილ(ებ)ი უნდა შეცვალოს ახალი ორიგინალი ნაწილ(ებ)ით (შემსყიდველთან წინასწარი შეთანხმებით, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, დასაშვებია მეორადი ნაწილ(ებ)ის გამოყენება).
5.1.3. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ქ. თბილისის მასშტაბით ისეთ სერვისცენტრში, რომელიც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
(ა) სერვისცენტრში უნდა მოქმედებდეს არანაკლებ 6 (ექვსი) ამწევი ლიფტი, საჭიროების შემთხვევაში, ერთდროულად შემსყიდველის არანაკლებ 1 (ერთი) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების მიზნით;
(ბ) სერვისცენტრი აღჭურვილი უნდა იყოს 6 (ექვსი) ამწევი ლიფტის ერთდროულად მუშაობისთვის საკმარისი სიმძლავრის ელექტრო ენერგიის ალტერნატიული წყაროთი (გენერატორით);
(გ) სერვისცენტრი სრულად უნდა იყოს აღჭურვილი მომსახურების გაწევისათვის ყველა საჭირო თანამედროვე აპარატურითა და დანადგარით (მათ შორის: დიაგნოსტიკის ოფიციალური (სერტიფიცირებული / ლიცენზირებული / ავტორიზებული) აპარატით და ოფიციალური (სერტიფიცირებული / ლიცენზირებული / ავტორიზებული) უახლესი პროგრამული უზრუნველყოფით (რომელიც უნდა მოიცავდეს ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს); საბურავის დაშლა აწყობის და ბალანსირების დანადგარით; თვლების შეყრის კომპიუტერული (რაზვალი) დანადგარით; კონდეციონერის დასატუმბი/ამოსატუმბი ელექტრო აპარატურით; ავტომატურ გადაცემათა კოლოფში ზეთის შეცვლის აპარატით; ძრავში ზეთის შესაცვლელი აპარატით; ზეთის შემცვლელი ბალონით; ძრავის ამომღები ამწეთი; სამღებრო კამერით (საშრობით); ელექტრო მომარაგების სარეზერვო წყაროთი (გენერატორი); სერვისცენტრში სამუშაო ფართობი დაფარული უნდა იყოს ბეტონის ან მსგავსი ზედაპირით; დაცული უნდა იყოს ჰიგიენური, სახანძრო და უსაფრთხოების ნორმები).

(დ) სერვისცენტრს უნდა გააჩნდეს სასაწყობო სათავსო. სათავსო უნდა შეიცავდეს პრეისკურანტით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების თითოეულ მოდელზე სავალი ნაწილის სწრაფადცვეთად დეტალებს (მათ შორის წინა და უკანა სამუხრუჭე ხუნდებს), ზეთის, ჰაერის, საწვავისა და კონდენციონერის ფილტრებს, მინის მწმენდებსა და ძრავის ზეთებს, ასევე უნდა იყოს უზრუნველყოფილი მათი უსაფრთხოება.

5.1.4. მომსახურების გაწევა უზრუნველყოს გამოცდილი, მაღალკვალიფიციური და სერტიფიცირებული ტექნიკური პერსონალით.

5.1.5. უზრუნველყოს ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული კონტროლის განხორციელების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ხარჯების ჩათვლით), მათ შორის წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა ახლით, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ასეთი ნაკლის შესახებ შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან (მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით) გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა.

5.1.6. უზრუნველყოს მომსახურების გაწევის დროს მიმწოდებლის ბრალეულობით შემსყიდველის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიყენებული ნებისმიერი ზიანის აღმოფხვრის ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, რაც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან (მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით) 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.1.7. დაიცვას იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომლებიც შესაძლოა მისთვის ცნობილი გახდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დროს.

5.1.8. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე (ასევე, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში), განახორციელებენ შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი, კერძოდ: საქართველოს პარლამენტის აპარატის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ავტოტრანსპორტით უზრუნველყოფის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვახტანგ ცარციძე ან/და ამავე დეპარტამენტის შესყიდვებისა და მომარაგების განყოფილების უფროსი სპეციალისტი ნატო ასლანიშვილი (ერთობლივად ან ცალ-ცალკე).

კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ხელმოწერები: _____ _____.

6.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

6.2.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

6.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე შესყიდვის ობიექტის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

6.2.3. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებ(ებ)ზე ზედამხედველობის განხორციელება.

6.3. კონტროლის განხორციელების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად.

7.3. „შემსყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ს (ერთობლივად ან ცალ-ცალკე).

მუხლი 8. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (კერძოდ, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში), სასაქონლო ზედნადები (კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში) და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი) წარმოდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენიდან/გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული აქვს პირგასამტეხლოს თანხა ან ფიქსირდება ურთიერთშეუსაბამობა საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან - ანგარიშსწორება ხორციელდება ამ პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება პირგასამტეხლოს სრულად გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია საანგარიშსწორებო დოკუმენტაციასთან ერთად ან წარმოდგენილი იქნება კორექტირებული საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ხაზინაში რეგისტრირებული ვალდებულების ფარგლებში.

მუხლი 9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 4.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, **ყოველ ვადაგადაცილებულ სრულ/არასრულ საათზე დეფექტურ აქტში მითითებული ღირებულების 3%-ის** ოდენობით.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 4.1.3, 5.1.5. ქვეპუნქტებისა და 13.3 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, **ყოველ ვადაგადაცილებულ სრულ/არასრულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 2%-ის** ოდენობით.

9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.1.3 ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, შემსყიდველის მიერ წერილობით შეტყობინებაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრის ვადის ამოწურვის შემდეგ, **ყოველ ვადაგადაცილებულ სრულ/არასრულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის** ოდენობით.

9.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.1.6 ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, **ყოველ ვადაგადაცილებულ სრულ/არასრულ დღეზე, ზიანის აღმოფხვრისათვის საჭირო ღირებულების 20%-ის** ოდენობით.

9.5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 9.1-9.4 პუნქტებით გათვალისწინებული ვადაგადაცილებული დღეების/საათების (კონტექსტიდან გამომდინარე) რაოდენობა გადააჭარბებს **10 კალენდარულ დღეს/5 საათს** (კონტექსტიდან გამომდინარე), მაშინ შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო **შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.**

9.7. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო **ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.**

9.8. მიმწოდებლის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდგომ, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების 8.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო **ყოველ ვადაგადაცილებულ სრულ/არასრულ დღეზე გადასახდელი თანხის 2%** ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვადის დარღვევა გამოწვეულია სახელმწიფო ხაზინის ან მიმწოდებლის ბანკის ბრალეულობით.

9.9. მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლო გადახდილი უნდა იქნეს შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთ) სამუშაო დღეში. პირგასამტეხლოს (დავალიანების) არასრულად გადახდის შემთხვევაში მიმწოდებელს საგადახდო დავალების თარიღის დღიდან კვლავ ეკისრება ამ მუხლით გათვალისწინებული თითოეული სანქციის მიხედვით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება დავალიანების სრულად დაფარვამდე, რომლის ოდენობასაც მიმწოდებელი თავად ანგარიშობს გადახდის დღის ჩათვლით.

9.8. მხარეები სრულად ანაზღაურებენ ბრალეული ქმედებით (მოქმედებით ან უმოქმედობით) მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანს.

9.9. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად (გარდა ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.2. და 3.3 პუნქტებისა).

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. პრეისკურანტში მომსახურების, სათადარიგო ნაწილის ან/და საცხებ-საპოხი მასალის რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებელის მიერ დაფიქსირებული პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს.

10.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისას, აგრეთვე იმ შემთხვევაშიც თუკი შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის დადგომამდე გონივრულ ვადაში შემსყიდველისათვის ცნობილი გახდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ, მაშინ შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მიმწოდებელს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარულ დღეში, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ამასთანავე, მიმწოდებელს ეკისრება 9.4 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება.

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. საგარანტიო პირობები და ვადები

13.1. მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებას და გამოყენებულ სათადარიგო ნაწილებს გააჩნია გარანტია 1 (ერთი) წელი (გარდა სამუხრუჭე ხუნდებისა, რომლებსაც გააჩნია 15000 კმ. გარბენის გარანტია).

13.2. ძრავის ზეთებზე გარანტია განისაზღვრება კილომეტრაჟით -10000 კმ.

13.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა აღმოფხვრას ექსპლუატაციის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი/წუნი (ტრანსპორტირების ჩათვლით), საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წუნდებული შესყიდვის ობიექტის შეცვლა ახლით, ასეთი ნაკლის შესახებ შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან (მათ შორის ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით) სატენდერო დოკუმენტაციის 4.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვადებში.

13.4. ქარხნული წუნის შემთხვევაში ყველა ნაწილი ექვემდებარე შეცვლას.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. შემსყიდველის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და ასევე კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ადასტურებენ, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს და მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო მეორე მიმწოდებელს.
14.3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია და მოქმედებს საგარანტიო მომსახურების ნაწილში ხელშეკრულების მე-13 მუხლით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, ხოლო დანარჩენ ნაწილში - ხელშეკრულების თავში მითითებული ვადების მიხედვით.

„შემსყიდველი“

საქართველოს პარლამენტის
აპარატის უფროსი _____ გივი მიქანაძე

„მიმწოდებელი“

შპს „აკა“ -ს დირექტორი _____ გიორგი ტყებუჩავა

Aka LLC

Digitally signed by Aka LLC
Date: 2020.01.24 10:47:40 +04'00'

დანართი 1 - "პრეისკურანტი"

№	დასახელება	მარკა/მოდელი	საქონლის განზომილება	საქონლის ფასი	მომსახურების ფასი
	Mercedes-Benz V 220 D				
1	ძრავის ზეთი	Mercedes Benz V220D	ლიტრი	34.00	-
2	ძრავის ზეთის ფილტრი	Mercedes Benz V220D	ცალი	69.00	12.00
3	ჰაერის ფილტრი	Mercedes Benz V220D	ცალი	57.00	13.00
4	კონდენციონერის ფილტრი	Mercedes Benz V220D	ცალი	161.00	20.00
5	საწვავის ფილტრი	Mercedes Benz V220D	ცალი	277.00	40.00
6	წინა სამუხრუჭე ხუნდები	Mercedes Benz V220D	ცალი	302.00	43.00
7	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	Mercedes Benz V220D	ცალი	257.00	43.00
8	ხუნდების ცვეთის სენსორი	Mercedes Benz V220D	ცალი	32.00	-
9	სამუხრუჭე სითხე	Mercedes Benz V220D	ლიტრი	31.00	33.00
10	გადაცემათა კოლოფის ზეთი	Mercedes Benz V220D	ლიტრი	28.00	-
11	გადაცემათა კოლოფის ზეთის ფილტრი	Mercedes Benz V220D	ცალი	142.00	72.00
12	გადაცემათა კოლოფის კარტერის საფენი	Mercedes Benz V220D	ცალი	51.00	-
13	ძრავის ღვედი	Mercedes Benz V220D	ცალი	64.00	59.00
14	ღვედის დამჭიმი მექანიზმი	Mercedes Benz V220D	ცალი	312.00	52.00
15	ღვედის მიმმართველი როლიკი	Mercedes Benz V220D	ცალი	71.00	52.00
16	ღვედის როლიკი	Mercedes Benz V220D	ცალი	135.00	52.00
17	ანტიფრიზი	Mercedes Benz V220D	ლიტრი	18.00	-
18	საწვავის გამაცხელებელი	Mercedes Benz V220D	ცალი	205.00	156.00
19	ძრავის საყრდენი ბალიში მარცხენა	Mercedes Benz V220D	ცალი	427.00	98.00
20	ძრავის საყრდენი ბალიში მარჯვენა	Mercedes Benz V220D	ცალი	427.00	98.00
21	გად.კოლოფის საყრდენი ბალიში	Mercedes Benz V220D	ცალი	370.00	39.00
22	უკანა მორგვის საკისარი	Mercedes Benz V220D	ცალი	227.00	164.00
23	უკანა ხიდის გვერდითი ჩობალი	Mercedes Benz V220D	ცალი	120.00	85.00
24	უკანა ხიდის წინა ჩობალი	Mercedes Benz V220D	ცალი	28.00	104.00
25	წინა საქარე მინის საწმენდი ჯაგრისი	Mercedes Benz V220D	ცალი	190.00	26.00
26	უკანა მინის საწმენდი ჯაგრისის რეზინი	Mercedes Benz V220D	ცალი	73.00	26.00
27	გად.კოლოფის ზეთის დონის მილი	Mercedes Benz V220D	ცალი	7.00	72.00
28	გად.კოლოფის პლატა	Mercedes Benz V220D	ცალი	2808.00	300.00
29	თერმოსტატი	Mercedes Benz V220D	ცალი	291.00	111.00
30	ძრავის ზეთის ტუმბო	Mercedes Benz V220D	ცალი	1396.00	663.00
31	ძრავის მქნევარას ათვლის დაჩიკი	Mercedes Benz V220D	ცალი	173.00	65.00
32	წინა ქვედა მარცხენა ბერკეტი(გიტარა)	Mercedes Benz V220D	ცალი	1542.00	132.00
33	წინა ქვედა მარჯვენა ბერკეტი(გიტარა)	Mercedes Benz V220D	ცალი	1542.00	132.00
			ჯამი:	11867.00	2762.00
			სულ ჯამი:	14629.00	

„შემსყიდველი"

საქართველოს პარლამენტის
აპარატის უფროსი

გივი მიქანაძე

„მიმწოდებელი"

შპს „აკა" -ს დირექტორი

Aka LLC

Digitally signed by Aka LLC
Date: 2020.01.24 10:48:13 +04'00'

გიორგი ტყებუჩავა